



ენციკლოპედია

№ 3

№ 3

1883—1907 წ.

15 თებერვალი.

ზ ი ნ ა ა რ ს ი.

F 493

სალიტირატორო განყოფილება: რაზდ ექნება მსჯელობა იმერეთის ეპარქიის სამღვდლოების დეპუტატების უკანასკნელ კრებას, ქ. ქუთაისში, 27 თებერვალს? — 12 — 15 ოქტომბრის სამღვდლოების კრების გამო თფილისში, უიმედოსი. — რა განსხვავება და უპირატესობა აქვს სამედიატორო და „კანონით დადგენილ სამართალს“? მღ. ბ. ვაშაძის. — ორიოდ სიტყვა, „მწყემსის“ რედაქტორის მ. დეკ. დავით ღამბაშიძის მოწოდების გამო, მღ. ს. ტუმბურაძის. — წერილი რედაქციის მიმართ, მღ. დ. ჩხაიძის. — რუსეთი და იაპონია. — ახალი ამბები და შენიშვნები.

სწავლა და მკვნიარება ძრინტიანობარის სარწმუნოებასა და ძქითი-წნომაზე: პური ჩენვი არსებისა მოგვეტ ჩენვ დღეს, ი. ბალუევის.

რაზიდ მქნება მსჯელოება იმერეთის ეპარქიის სამღვდლოების დეპუტატების უკანასკნელ კრებას, ქ. ქუთაისში, 27 თებერვალს?

როგორც სწანს იმერეთის ეპისკოპოსის ყოვლად სამღვდლო ლეონიდის განკარგულებისაგან უკანასკნელი სამღვდლოების კრება, ქ. ქუთაისში, არის დანიშნული ამ 27 თებერვალს შემდეგი კითხვების საბოლოო გადასაწყვეტად:

- 1) გამოწახვა საშუალებათა სასულიერო სასწავლებლის მოსამზადებელი კლასების შესანახავად, ჯამაგირის დანიშვნა მეთვალყურეთა, ფედლშრისა, საავადმყოფოისა და ამ სასწავლებლის ეკონომიური ნაწილის გამგისა;
 - 2) შეწახვა იმერეთის ეპარქიალური ქალების სასწავლებლისა;
 - 3) გამოწახვა საშუალებათა თფილისის სემინარიის პარალელურ კლასებისა;
 - 4) მოფიქრება სხვა-და სხვა ზომებისა სამღვდლოების გავლენის ასამაღლებლად ხალხზე;
 - 5) გამოწახვა სხვა-და-სხვა ზომათა სამღვდლოების ნიეთიერად გაუმჯობესობისათვის;
 - და 6) განხილვა ეპარქიის სანთლის ქარხნის ანგარიშისა და საეკლესიო ნიეთების საწყობისა და სხვ...
- ყველა ზემო მოყვანილი კითხვები არა ერთ-

გზის ჰქონებია მიცემული სამღვდლოების დეპუტატებს გარდასაწყვეტად. რომ მათი გადაწყვეტილებისათვის ყურადღება მიექციით, დარწმუნებული ვარ, ხელმეორედ დეპუტატები აღარ იქნებოდენ, ზოგიერთი კითხვისათვის მაინც, დაბარებულნი. ასოვს ყველას, რომ სამღვდლოებამ მთლად გააუქმა ბარაღელური კლასები, ქუთაისის სასულიერო სასწავლებლისა და მთლად განყოფილებანი მოსამზადებელი კლასებისა, და ბოლო დროს სრულებით უარ-ჰყო ამ სასულიერო სასწავლებლის კლასის შეწახვა, ვინაიდგან მთავრობაც, სამღვდლოებაც და საზოგადოებაც აშკარად ხედავს, რომ ოთხ-კლასიანი სასულიერო სასწავლებლის პროგრამა უვარგისი არის სამღვდლოებებს მის მეოცედს სარგებლობას არ აძლევს რაც მის შესანახავად ესარჯება. გამოავლენ აკადემიაში კურს დამთავრებულნი და, რადგან სმ-სახურს ვერსად შოობენ, ყველა ეტანება სასულიერო სასწავლებელში და მისი დარდი კი არავის აწყუბებს მოაქვს თუ არა რაიმე ნაყოფი ამ სასწავლებელში მათ სამსახურს. მათ მშვენიერად აქვთ შესწავლილი სინოდისგან სხვა და სხვა დროს გამოცემული კანონები მესამელი ჯამაგირის მიღებაზე, გზის ფულის აღებაზე თაიის საცხოვრებელი ადგილიდან იმ ადგილამდის სადაც ინიშნებიან და აგრეთვე რამდენი მიექვმათ ხაზინიდან დამატებითი ჯამაგირები, ათი, თუთხმეტი და ოცი წლის შემდეგ...



მოლიან რევიზორები, ვითომ სასწავლებლის დასახედავად, მაგრამ სწავლა-აღზრდის შესახებ იმ-დანებდათ თავს არ იტყვნენ; მხოლოდ გრძელ-გრძელ ანგარიშებს ადგენენ იმის შესახებ, რომ ადვოკატო-რთვი მცხოვრებნი მალაღი სწავლის მიმდებნიც რომ იყვნენ, არ შეიძლება მათი მიღება ჩვენ სას-წავლებელში მისწავლებლად, რადგან პოლიტიკური მიზნისათვის სასარგებლონი არ იქნებიან და ამისა-თვის უხსნიან გზას ჩრდილოეთ რუსეთის მცხოვრებთ, განსაკუთრებით რომელნიც ქლერკით არიან შეყ-რობილნი, რადგან საქართველოს თბილის პაერო ქლერკიანებს რეგებს. ქუთაისის სასულიერო სასწავ-ლებელი მაინც ქლერკიანი მასწავლებელთა სტან-ცვლად მიიჩნის. მკირეს ხანში ოთხი მასწავლებელი გარდაიცვალა ქლერკით. ერთი ამისთანა ქლერკი-ანი მასწავლებელი პეტერბურგიდან ბლოღვეშჩენსკის სასულიერო სასწავლებელში დაინიშნა და იქიდან ქუთაისის სასწავლებელში ითხოვა დანიშვნა და ცოტა ფული კი არ რგებია პეტერბურგიდან ციმ-ბირის განაპირა ქალაქამდი და მერე იქიდან ქუთა-ისამდის! ქუთაისის ოთხ თვეში ერთი დღე იმსახუ-რა და გარდაიცვალა „ოტპუსკის“ დროს. შევირდებ-ბი-კი დღეთი ანაბარად იყვნენ გაშვებულნი...

ბატონმა რევიზორმა ამას კი არ მიაქცია უუ-რადღება, ის სწერდა თავის ანგარიშებში: «რუსული ენა არ იციან კარგად, რადგან ქართულად ლაპარა-კობენო და თუ ქართულ ენაზედ მოესპობათ ლაპა-რაკი შევირდები მერე რუსულ ენას კარგად შეის-წავლიანო!».

უკანასკნელ დროს სინოდი აცხადებდა, რომ ქართულ ენას მტრი ყურადღება მიექცევა და ახალი პროგრამა იქნება შემოღებულიო, მაგრამ საქმით არაფერი არა სჩანს-რა. სამღვდლოებასაც მოსწყინ-და ამდენი დაპირების გაცრუება და ბოლოს სულ უარს განაცხადა ამ სასწავლებლის შენახვაზედ.

ეკლესიებიდან ბევრს ადვილას მტრიკების და აღსარებითი სიების რვეულების გამოსაწერი ფულე-ბიც არ აღმოჩნდა და მრველი არას იძლევა; ჯამაგი-რების საქმეც რალაც ყოყმანობს და არ უნდა მისცეს სამღვდლოებამ? ექვსი ათასი მანეთი ჩვენზედ ქვეყნის ფული იხაჯება დღეს ამ ოთხ-კლასიან სას-წავლებელზე და მთავრობა, რომ ჩვენ არ გვართმე-ვდეს ჩვენი სეკულსიო ხაზინის ფულს კათედრის საკრებულო ტაძრის, არქიერის და მის სასახლის

და კანცელარიის შესანახავად, მაშინ ჩვენ სრულებით გვეყოფა ჩვენი სასწავლებლების და სემინარიის პარალელური კლასების შესანახავად ფულები. მთელს რუსეთის იმპერიაში ეს ზემო ხსენებული დაწესებულებანი სახელოწიეო ხაზინიდან ინახებიან და ჩვენში კი ჩვენ გვხლიან ვალდებულად შევიჩხოთ ჩვენი ფულით. ზოგიერთი რევიზორები და ექსარ-ხოსები ამას სრულებით ყურადღებას არ აქცევენ. დიდათ გვაშიდლიან, რომ ჩვენ ფულს ჩვენვე გვახ-მარებენ...

ჩვენ მონასტრებს და ეკლესიებს ჰქონდათ თავდასნაურთა და საზოგადოებისაგან შეწირული მამულები სარჩოდ და სწავლა-აღზრდისათვის. ეს მამულები ხაზინამ ჩამოართვა სასულიერო უწყებას და ამ მამულების შემოსავლიდან იძლევა ოცდა ათი ათას მანეთამდე და თვითონ ხაზინა ერთთორად მეტს იღებს. ამ ფულებს ზოგიერთი უფიცები ხაზი-ნის ფულად რაცხვენ და ხარჯვენ სხვა-და-სხვა სა-ხელოწიეო დაწესებულებებზე და სასწავლებლისათვის კიდევ სხვას გვთხოვენ. დროა ამაზე სამღვდლოებამ ხმა აღნიშნოს და ეს ფულები მოგვცენ რომ მოვიხმაროთ სასწავლებლების შესანახავად.

აღარ არსებობს პანსიონი და საკვირველია რალა საქირთა ეკონომი? რაიცა შეეხება ნაღწირა-ტელეების შენახვას ამით და აგრეთვე მოსამზადებე-ლი კლასების ხარჯს ხომ მოსწავლეებს ახდევინებენ როგორც წინეთ ეყო?

საქირთა შევინიშნოთ, აქვე ერთი რამე. როცა ჩვენ სასწავლებლებში სემინარიელები იყვნენ მასწავლებლად კარგად ყოფნიდათ ფული, მაგრამ როცა აკადემიელები მოვიდნენ, და ისიც ავადმყო-ფები, მათ დიდი ჯამაგირები დაენიშნათ და ფულე-ბიც აღარ ეყოთ. ყველას იმდი ჰქონდა რომ, აკა-დემიელების ხელში სწავლა მაინც უმჯობესად წავი-ლოდა, მაგრამ საქმით სულ სხვას გხედავთ. ძველი დროის სემინარიელი მასწავლებლების დროის მოს-წავლენი შეადარეთ დღევანდლებს თუ რამე უპირა-ტესობას ნახათ ან სწავლაში და ან ზნეობის მხრით.

საავად-მყოფო დიდ ხარჯს თხოვილობს და ავადმყოფები კი არ ეკარებიან!..

თუ მაინცდა-მაინც დიდათ მოსწონთ სასულიერო სასწავლებელი და არ შორდებიან მის უფარვის პროგრამას, მაშინ ვიღრემდის სამღვდლოება ნიე-თიერად ასე დაქვეითებული იქნება მშობლებმა უნ-და მიბძონ საერო სასწავლებლების ყოფა-ცხოვ-

რებას და წყევს. ესლა კერძო პირებისგანაც იხსენებთან ყოველ-გვარი სასწავლებლები და სწავლა უმჯობესად თუ მიდის, თორემ ნაკლებ არა.

უბედურება ის არის, რომ ჯერ-ჯერობით თავისუფლება არ არის სკოლების გახსნისა, თორემ კერძო ოთხ-კლასიან სასწავლებელში ბევრის წილად უმჯობესად წავა სწავლის საქმე და არც იმდენი დაიხარჯება. ჩვენ ოთხ-კლასიან სასულიერო სასწავლებელში თვრამეტი ათასი მანეთი იხარჯებოდა წელიწადში და სწავლა კი ძლიერ სუსტია. პირველ შაგირდს სემინარიაში შესასული ეკზამენის დაქვრა გაუქირდა და უარი უთხრეს! ამას გარდა ბევრს წინეთ უფრო იღებდნენ, როცა სემინარიელები იყვნენ მასწავლებლად...

ყოველ შემთხვევაში არ გვესმის სამღვდლოების მსჯელობა. გუშინ გარდასწყვიტეს, რომ სასწავლებელი დახურონ მათი პროგრამის უვარგისობის გამო და დღეს რა უნდა გარდასწყვიტონ? არა, კარგია, ფუტლები გარდავიხადოთ მათ შესანახავად? კარგი, მაგრამ რომელი წყაროდან? დრამას არ იძლევიან, ჯამაგირი მღვდელს არ ყოფნის, როდეს გაიხსნება კრედიტი ჯერ არ ვიცით და სადიდან გარდაიხადონ?

ქალების სკოლების შენახვის შესახებ იმდენი მსჯელობა იყო, რომ მეტის თქმა აღარ შეიძლება. სანთლის ქარხნის უფლები სრული საკმაო იქნება ამ სკოლის შესანახავად თუ ცოტა რამ სწავლების უფლებიას გარდაახდევინებენ დროებითად მოსწავლეთ. და როცა ეს სასწავლებელი დროების მოთხოვნილების და სამღვდლოების სურვილისამებრ მოიწყობა, მაშინ მთელი სამღვდლოება მოილაპარაკებს უფრო გულ-დასმით და დაღაბებით და მის შენახვაზედაც იზრუნებს. ამ სასწავლებელს დღეს ეძლევა თანხის სარგებელი ორი ათასი მანეთი, სამი ათას იღებს სანთლის ქარხნიდან, ერთი ათასი მანეთი კიდევ სანთლის ქარხნიდან საკმაო იქნება ცოტა სწავლის უფლებისაც რომ დაწესდეს.

მესამე კითხვა, რომელიც სამღვდლოების დეპუტატებს აქვს მიცემული გასარჩევად, არის გამოანხავა საშუალებათა თფილისის სემინარიის პარალელური კლასების შესანახავად. ამ კითხვის გარდასაწყვეტად დეპუტატებისათვის სხვათა-შორის ფრიად საჭირო არის ჩვენი სემინარიების ისტორიის ცოდნა.

თფილისის სემინარია, როგორც იციან, დაარსებულ იყო ქართველ სამღვდლოების შევილების აღსახრდელად. სხვა თემის შეილები აქ იზრდებოდნენ მხოლოდ ოსები თავიანთის ხარჯით. საჭირო შეიქნა ყველა კლასებთან პარალელური კლასების გახსნა, ამ კლასების ხარჯი მიიღო იმერეთის და სამეგრელოსი ეპარქიების საეკლესიო ხაზინამ და ცხოვრება სემინარიაში მიიღოდა, რამდენათაც შეიძლებოდა იმ დროს, გვარიანად. 1893 წელში შეუგნებელმა მღვდელდამამისი კესის მიზეზი რექტორის მათ წინააღმდეგ გასალაშქრებლად და გაილაშქრეს კიდევ ჯამში მოსწავლეების წყალობით. სემინარია 1 წლით დაიხურა, 87 შაგირდი გამოირიცხა და სინოდმა გადასწყვიტა, რომ მგერელები და იმერლები სრულებით მოეშორებინა თფილისის სემინარიისათვის, ვინაიდან მათ აბრალებდნენ ყოველივე სემინარიის უბედურებას და ამბოხებას. გადასწყვიტეს მეორე სემინარიის გახსნა ქუთაისში. დასავლეთ საქართველოს ძლიერ სასიხარულოდ დაუჩნა ეს. ჩვენ გვეკონს, რომ მართლა ზრუნავდნენ სწავლა-განათლებლისათვის, მაგრამ ბოლოს მოესტყუდით. მოითხოვეს სემინარიისათვის სახლის დაქირავება. ბოლოს საჭირო შეიქნა ექვსი კლასის ოთახი სემინარიისათვის და ბინა რექტორის, ინსპექტორის და მათ თანაშემწეთათვის. რექტორმა თავის ნებით გარდასწყვიტა სახლის დაქირავება „სლობოტკაში“. სამღვდლოებამ განიხრახა ოთახების აგება ბაგრატის ტაძრის ახლოს. ორი წლის ქირით კიდევ აშენდებოდა კარგი შენობა გორაზე და მოსამსახურეთა ბინებისათვის ახლოს იყო სახლები იაფ ფასად. მაგრამ სემინარიის კორპორაციამ არ ისურვა ებისკოპოსის სიხლოვეს ცხოვრება, რომ მიგდებულ ადგილას უფრო თავისუფლად ეცხოვრათ. სინოდმა მოითხოვა სამღვდლოებისაგან სემინარიის სახლის ასაშენებელი ფუტლები და ადგალი. ადგილი უჩვენეს ბაგრატის ეკლესიის ნანგრევების ახლოს საკმაო. ფულად მინგრედილის და იმერეთის ეპარქიის სამღვდლოება დაპირდა ორმოცი ათასი მანეთის მიცემას. მოითხოვეს სემინარიის შენობის გეგმაც. ყოვლად სამღვდლო გაბრიელი წინააღმდეგი იყო აქედამ გეგმის გაგზავნაზე, რადგან არ ქონდა იმედი აქედან წარდგენილი გეგმა მოეწონებოდათ სინოდის ხუროთმოძღვრებს; მაგრამ მაინც მოსთხოვეს. დახარჯეს ათასი მანეთი გეგმის შედგენაზე და წარადგინეს.



სინოდმა არ მიიღო გეგმა, სემინარიის შენობა დიდებული უნდა იყოსო და შენობისათვის 250,000 მანეთი უნდა დაინარჯოსო. სინოდს ეგონა, რომ უმეტესი ნაწილი ამ ფულუბისა ჩვენი ეკლესიებიდან შეიკრებებოდა! ახალი გეგმა სინოდის ხუროთ-მოძღვრებისაგან შედგენილი მართლა დიდებული რამ იყო. სემინარიაში შექმლო ყველა მოსამსახურეთა მშვენიერად ცხოვრება. მრეცხელ ქალებს და მათ თანაშემწეებსაც კი მშვენიერი ბინები ჰქონდა დაწინშული. შეიქმნა ერთი ამბავი სემინარიის ადგილის გამოსარჩევად. მამა რექტორი სურვობდა საპირჩხიზზე ათგილის ყიდვას, რადგან საბანაოდ წყალ-წითელას მდინარე ახლოს იყო და საღამომობით დროს გატარება ადვილად შეიძლებოდა ამ მდინარის პირას—მინდორში. სხვათა იმჯობინებდნენ საღორიისაკენ, რადგან რიონის ბუფეთისკენ უფრო შეიძლებოდა გასეირნება ღამ-ღამობით და დროს გატარება.

სინოდის ხუროთ-მოძღვრებმა მოისურვეს გზის „პროგნოზი“ სარგებლობა და გადაწყვიტეს გამოგზავნა ერთი მოსამსახურისა. როგორც ითქვა კიდევ აასრულეს. მობრძანდა ბ. ხუროთ-მოძღვარი ვილამ პრავედინი. ერთი „პროგნოზი“, რასაკერაფერიც ცხვენებით მოგზაურობისა, პეტერბურგიდან ქუთაისამდის აიღო და მეორე კიდევ პეტერბურგიდან ვლადიკავკაემდის, რადგან იქაც აღმოუჩინეს რალაცა საქმე. რა გააკეთა ქუთაისის სემინარიის სახლის ასაშენებლად? განიხილა ბაგრატის მიღამოს ადგილები, მარჯანოვის ადგილიც და წუნი დასდვა. ერთი წუნი მისი განხლდათ ის, რომ სემინარიის ახლოს ეპისკოპოსი იქნებოდა და მასწავლებლები ცოტა შევიწროებული იქნებინათო. ამასთან სემინარიელებთან ოთხ-კლასიანი სასწავლებელიც იქნება და შეიძლება ამ კლასის მოწაფეებმა სემინარიელებზე ცუდი გავლენა იქონიონ ზნეობითი მხრითო! მაგრამ ყველაზე მეტი წუნი ამ ადგილისა ის არისო, რომ პოლიტიკურის მხრით ცუდი გავლენა ექნება სემინარიის შავირდებზე ბაგრატის ტაძრის ნანგვრევებს, რადგან ეს დიდებული ნანგვრეები სემინარიელებს ძველ დროს მოაგონებსო და თავის ისტორიას არ დაივიწყებენო. მაშ რას დასწყობა და რას იტყობა რომ თავი გამოქინა?! ამ ბატონის წარდგენით და რექტორის დაჯინებით იყიდეს ადგილი საფორჩხიზზე.

შემდეგ დაქირავებულ სახლთან შეიქმნა საჭირო ეკკლესიის აშენება. მივიარდნენ რექტორთან და განაცხადეს: თქვენ ხომ ეკკლესია დროებით გინდათ ააშენათო, მოგვეციოთ სამასი თუმანი და დავგამთავრებინეთ პეტერბავლეს ეკკლესია და თქვენი თვის სანამ სემინარიის სახლს ააშენებდეთ და თავის საკუთარი ეკკლესია არ გექნებოთო. მაგრამ შესაძლოთ ვერ დაინახა რექტორმა, რომ იმერლების ნაშენ ეკკლესიაში წირვა-ლოცვა გაემართა. მოთხოვა სინოდიდან ფულუები. გამოუგზავნეს და კიდევ ააგეს დროებითი ეკკლესია ყაზარმის მსგავსი. რომ სახელი და პატივი დამსახურებია რექტორს გაუმართეს ფიქტონი, უყიდეს ცხენები, დაუქირავეს მეეტლე და როცა სურდა გაისეირნებდა ხოლმე უფრო საღამომობით რიონის რკინის გზის სადგურისკენ. აქ ატარებდნენ დროს და კარგს შესავალიც ჰქონდა ბუფეტჩიკს... ბოლოს, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, აუკრეს, სემინარიას მოსდეს სხვადა-სხვა მიზნებში და დახურეს, ეკკლესია დაანგრეს, ზოგი გააუქმეს და ზოგი ნაწილი გაყიდეს, შავირდები ისევე ზოგი თფილისის სემინარიაში გადაიყვანა და ზოგი გამოირიცხეს, ზოგს რუსეთის სემინარიებში მისცეს გადასვლის ნება. ამდენმა ხარჯმა, ამდენმა მიხლამ-მოხლამ ჩაიარა ტყუილი და ყველა იმედები გატრუვდა. ქუთაისის სემინარიაზე უფრო მისთვის აიცრუეს გული, რომ თფილისის სემინარიაში, არა მიმხედველი იმისა, რომ მეგრელები და იმერლები აღარ იყვნენ მიხიცი არ დამყარდა მასწავლებელთა და მოსწავლეთა შორის მშვიდობა და სათნოება!..

1894 წლიდან თფილისის სემინარიაში დიდი ცვლილება მოხდა. აქ გაუხსნეს გზა დათხოინდნენ შავირდებს რუსეთის სემინარიებიდან და სხვა რუსის მცხოვრებთაც და ერთ დროს ივინი უმეტესობას შეადგენდნენ სემინარიაში და დღესაც ბევრი არიან. ამისათვის ჩვენებს ეუბნებიან თუ აქ გინდათ შემოსვლა პარალელური კლასების ხარჯი გადაიხადებოთ. კანონიერი უფრო ის იქნებოდა, რომ სემინარიის ნორმალურ კლასებში მოათავსონ ისინი ვისთვისაც იყო ეს სემინარია დაარსებული და თუ სხვა თემის ხალხი მოემატება იმათ უნდა გამოუცხადონ, რომ შეინახონ პარალელური კლასები. ჩვენის აზრით სამღვდლოებას დღეს-დღეობით არაფერი არ შეუძლია თავისი მხრით. თუ მართლა ქართველებს



შევირდებმა იმდენი მოიმატეს, რომ აღარ ვტყვიან ნორმალურ კლასებში მაშინ პარალელური კლასები ამ წესით უნდა იყოს შენახული როგორც ინახებოდა წინეთ ჩვენი საეკლესიო ხაზინიდან. ქუთაისის სემინარია, რადგან დაიხურა ეს ფულები ხომ უნდა დარჩენილიყო და ისე უნდა იქნეს მოხმარებული როგორც წინეთ ინარჯებოდა. ჩვენი ობრით, სამღვდლოებას თავის მხრით სხვა არაფერი არ შეუძლია...

(გაგრძელება იქნება).

12—15 ოქტომბრის სამღვდლოების კრების გამომთვლილი.

წარსულ წლის „წყემის“-ს 19—20 ნომერში დასტამებულია „ერთ დღეგატავანის“ წერილი შემდგენის სათაურით: უკანასკნელი კრება სამღვდლოებისა, ქალაქ თფლისში, ბოიკოტის ახსნის შესახებ“ - ამ წერილში გაზეთ „მეგობრიდან“ მოყვანილია ის ხუთი პუნქტი დადგინობისა, რომელიც ოქტომბრის კრებამ წერილობით გამოიტანა. — აღნიშნული წერილი, მიუხედავად იმისა, რომ ის ჯერ კიდევ დაუსრულებელია, საქმარისს საბუთის გვაძლევს პასუხი მივსცეთ მას, თუ გინდ წერილის სათაურშივე გამოთქმულ აზრს. გამოდის, რომ ვითომც ოქტომბრის კრების მიზანი იყო „ბოიკოტის ახსნა“. სანამ ამ „ახსნაზე“ ვიტყვოდეთ რამეს, ვიკითხოთ, — იყო კი „ბოიკოტი“? — იყო, — გვიპასუხებს წერილის ავტორი: „პათო-კახეთის ეპარქიის სამღვდლოების კრებამ ამაჲ წინეთ გარდისწყვიტა, რომ იგი ბოიკოტს უტყდავებს ახალ ექსარხოსს და არავითარ საქმეზე მასთან არ მივა“. — ჩვენ ვერ გავიგია, — რომელი „კრება“ აქვს სახეში ავტორს? აუ იენისის „სიგზდი იგულისხმება აქ, ამ უკანასკნელს „ბოიკოტი“ არ გამოუცხადებია ახალ ექსარხოსისათვის. იენისის „სიგზმა“ „პროტესტი განაცხადა ახალ ექსარხოსის დანიშვნის-გამო და ერთხელ კიდევ დასტური დართო ივერიის ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებათა აღდგენის მოთხოვნას, ხოლო ახალ ექსარხოსის მოლოდინში მოახდინა სანთლის ქარხნის, ეპარქიალურ სასწავლებლის და სემინარიის თვის წარმომადგენელთა არჩევნები, როგორც ვი-

ცი თ არსებულ კანონების ძალით ვერც ერთი აღნიშნულ დაწესებულებათაგანი ვერ იმოქმედებს ეპარქიალურ კანკოპოზის (ამ შემთხვევაში ექსარხოსის) უდასტუროდ. თუ „სიგზდს“ „ბოიკოტის“ გამოცხადება ჰქონდა სახეში, ის შესწევებდა ყოველივე კავშირს ჯერ ამ დაწესებულებებთან და მით ახალ ექსარხოსთანაც, პირიქით, „კრებამ“ აირჩია ეპარქიის სამღვდლოების წარმომადგენლები, რომელთაც დაევალოთ მხოლოდ ამ „საქმების“ შესახებ ჰქონდათ ექსარხოსთან მსვლელობა. თუ არა და რა საჭიროება მოითხოვდა სემინარიის საბჭოში დეპუტატების გაგზავნას, მას შემდეგ მაინც, როდესაც სამღვდლოების წარმომადგენლებს ამავე საბჭოში „ვირი და ბულბულის“ არაკი წაუკითხეს?! თუ არა და რა საჭიროება მოითხოვდა „ნაწრობის“ დეპუტატების გაგზავნას ეპარქიალურ სასწავლებლის საბჭოში, ვინაიდან იქ აღარ იყვნენ ნეტარ-სენებულნი ტროფიმოვა — გოროდცევ — ჩეტირკინები?! ან და რა საჭირო იყო სანთლის ქარხნის აღმინისტრაციის განახლება?! ცხადია, იენისის კრებას არ გამოუცხადებია არავისთვის „ბოიკოტი“ ამ სიტყვის სრულ მნიშვნელობით. საქმის ვითარება დარჩა ისეთივე, როგორც იყო თვით აღექსი და ნიკოლოზ ექსარხოსების დროსაც, ე. ი. — ძალა-უნებური, ჯერ ჯერობით აუცილებელი ურთიერთობა ექსარხოსთან, სამღვდლოების სასოგადო დაწესებულებათა ინტერესების დასაცველად, ინტერესების დასაცველად იდეურ — ცხარე ოპოზიციონერ ნადავზე, რომელსაც ყოველივე შემთხვევით წინ უნდა წაეწია ჩვენი ეკლესიის წეს-წყობილებათა განახლების საკითხი ავტოკეფალიის საფუძველზე...

მაშ, შეიძლება „ერთ დღეგატავანს“ სახეში ჰქონდეს აქ თფილისის ქართველ სამღვდლოების კრება, მომხდარი ავვისტოში, «ახალ ექსარხოსის» ჩამოსვლის ორიოდ დღის წინაღ? — მაგრამ არც ამ კრებას გამოუცხადებია ახალ ექსარხოსისათვის ბოიკოტი! არც უფლება ჰქონდა ქალაქის სამღვდლოებს ამ შემთხვევაში ემოქმედნა ივერიის ეკლესიის სახელით და ორგანიზულადც შეუძლებელი იყო მისთვის სრული ბოიკოტის განხორციელება. ეს გარემოება სავსებით გამოირკვა იმავე კრებაზე, ეს ყველაფერი დღესაც ცხადი უნდა იყოს. ქალაქის სამღვდლოების ავვისტოს კრებას წინ ედო უახლოესი საგანი, რომელიც განსაკუთრებით ამ სამღვდ-

ლოგებს ეხებოდა — როგორ შეხვედროდა ის „ახალ ექსარხოსს“, როგორ ეგრძნობინებინა მისთვის, რომ ის, როგორც ჩვენი ეკკლესიის გამათახსირებელ ასი წლის რეჟიმის ბიარალტარი, ან უკვე ჩვენთვის მასთან მშვიდობიანი მოქალაქეობა შეუძლებელია, ის ჩვენთვის მხოლოდ და მხოლოდ მოვლინებული ბიუროკრატიაა, რომელიც ვერ ჰპოებს ჩვენში (ვიც, რომ ახლა თან-და თან ჰპოულობს!..) ვერავითარ ნიადაგს თვის მისიის ასრულებისას, — ერთი სიტყვით კრებას წინ ედო გამოეცხადება ენერგული პროტესტი, ნახევარ ბოიკოტის სახით. ეს ასეც მოხდა, კრებამ სთქვა და გამოაცხადა ის, რის ასრულება მის ხელთ იყო და კიდევაც ასრულა: ახალ ექსარხოს შეეგება ყველანი, გარდა „მწყემსთა ქართველთაგან“, როგორც აღნიშნა მან ეს თვის „სიტყვაში აღსვლასა ზედა საქართველოს კათედრასზე“. — ეს შეეხებოდა შეხვედრას, ხოლო შემდეგი თვისი ტაქტიკა ქალაქის ქართველთა სამღვდლოებამ აღნიშნა იმავე კრების რეზოლიუციის მეოთხე პუნქტში, რომელიც „სიტყვაშია“ იყო სახეებით მოყვანილი (პნ 13—14). აქ მოკლეთ მოვსკიტით ამ პუნქტის შიანარს: ყოველი ურთიერთობა ექსარხოსთან უნდა ჩაითვალოს იძულებითად, — სჩიკთა დელომ ვინუჟდენია“. გარდა ამ წყრილობით გამოთქმულ ტაქტიკისა, ზეპირი განმარტებებიც იყო გამოთქმული იმავე კრებაზე, რომლებითაც უნდა ეხელმძღვანელო ქალაქის სამღვდლოებს, კიდევაც ხელმძღვანელობდა ის ამ განმარტებით ერთ დრომდე..

მაგრამ, რა ტაქტიკა შეიძლება გატარებული იქნას ისეთ ვითომდა აწ მებრძოლ — პროგრესულ უწყებაში, რომელსაც დღემდე ვერ შეუქმნია რალაც ორგანიზაციის ნასახიცი კი? ხოლო ყოფილნი თუ არსებულნი „დღეგატები“, რომელნიც ამ სახელით გულისხმობენ (სხვისთვის, რასაკვირველია) რაიმე კავშირულ საქმიანობას, ნამდვილად წარმოადგენენ მუფავიზიკურ მანკენებს. ასეთი ვითარება საქმის, მეტი რომ არა ვსაჩქათ, უნდა ჩაითვალოს იმპორტურ მოვლედ, რომელიც ვერ წარმოშობს თვის საშოდან ვერავითარ ნაყოფიერებას. ამ მიზეზით ქალაქის სამღვდლოება დაიბნა, გზა-კვალი აერია და ის უნდა ცდილიყო, რომ ასეთ მდგომარეობიდან გამოსულიყო. საჭირო იყო ქალაქის სამღვდლოებისათვის ზურგი გაემაგრებია მთელ ქართველ სამღვდლოებს, საჭირო იყო ერთი სა-

ყოველთაო გეგმა მოქმედებისა. ასეთი საჭიროება მით უფრო საგრძობელი იყო, რომ 11 ავესტოსის გამოცემულ უმაღლეს ეპარკულუბით „საკითხო საქართველოს ეკკლესიის ავტოკეფალიობისა გადაეცა განსახილველად სრულიად რუსეთის მომავალ საეკკლესიო კრებას“. ეს ახალი მიმართულება, რომელიც მიეცა ჩვენ საეკკლესიო საკითხს, აუცილებლად შიდასწავდა ჩვენი მხრითაც ასეთ თუ ისეთ ზსუსს. ამისათვის კი აუცილებლად უნდა მომხდარიყო სრულიად საქართველოს სამღვდლოების დღეგატთა კრება. ასეთ კრების მოწვევის საჭიროება წამოყვებულ იქნა ქალაქის სამღვდლოების სექტემბრის კრებაზე. ამ კრებაზე ერთ-ნაბად გადასწყვიტა ქალაქის სამღვდლოებამ „დღეგატთა“ კრების მოხდენა, ხოლო ეს კრება არ უნდა მომხდარიყო თფილისში, რომ ჩვენ მღვდელ-მთავრებისათვის აგვეცდინა ახალ ექსარხოსთან დარბაზობა. ეს ისე ნათლად და მკაფიოდ დასაბუთებულია აღნიშნულ კრებაზე, რომ ჩვენთვის სრულიად ქოლგადნელი იყო სამ ებისკოპოსთა ჩამოსვლა მთელ რუსეთში (ორი — დღეგატებით, მესამე კი იმერეთისა — უდღეგატად).*) თფილისის სამღვდლოებამ მხოლოდ ებისკოპოსთა ჩამოსვლის შემდეგ და არა „წინ-და-წინ“, მოახდინა კრება და აირჩია „საიძედო დღეგატები კრებისათვის. როგორ შემზადდა ეს გარემოება, ჩვენ, — პირადად, — დღესაც არ ვიცით. ჩვენ გეიკვირს ის გარემოებაც, რომ „როცა იმერეთის ეპარქიის დღეგატებმა შეიტყვეს მიზანი კრებისა, არ გამოეცხადდნენ, რადგან უკანონოდ და უმინუნგლოდ მიიჩნიეს ამ კრებაზე დასწრება“... თუ დღეგატებმა ამ კრების მიზნად „შეიტყვეს ის, რაც ჩვენ ზემოდ აღნიშნეთ და არა მართლაც და „ბოიკოტის ასნა“ (რა სახითაც და რაოდენადაც ის იყო), პირველ შემთხვევაში ისინი გამოეცხადდნენ (თუნდაც ქალაქში) მძიმე დამნაშავენი არიან, უკუნასკნელ შემთხვევაში კი — მართალნი. მაგრამ ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ „იმერეთის დღეგატები ვერ შეიტყუებდნენ“ იმის, რომ „მიზანი კრებისა ბოიკოტის ასნა არისო.“** ამ

*) მეოთხე კი ტფილისიდან იწერებოდა ჩამოსვლით „ბოიკოტის“ ასნის საქმის გამოვლა. ექსარხოსმა ნება დაგვრთოვია!..

** წერილებთა ბატყბინებდნენ იმერეთის დღეგატებს რომ კრება არის ბოიკოტის ასნის გამოვლა. მაგრამ დღეგატები კიდევ არ დარწმუნდნენ. ბოლოს ერთი დღეგატე გამოგზავნეს ნაშფილი ამის შესატყუებლად და იმან რაც შეიტყუა სასირცხვოც არის მისი გამოქვეყნება. რედ.

მხრით, მხოლოდ იმერეთის დელეგატებისათვის, საბელისწერო საბუთად თფილისის სამღვდლოების ერთი ჯგუფის მოსაზრებანი გამხდარა. „ერთი დელეგატთაგანი“ გადაჭრით აცხადებს, რომ „ეს მოსაზრება ეკუთვნის ორ-სამ მღვდელს კი არა“, როგორც ეს „მეგობრის“ სიტყვით გამოურკვევია დელეგატთა კრებას, არამედ მთელ თფილისის სამღვდლოებს: „თფილისის სამღვდლოებამ, — ამბობს ის, — კრება მოახდინა წინ-და-წინ და აირჩია საიმედო დელეგატები კრებისათვის, ამ დელეგატებმა შეადგინეს ეს მოსაზრება და ურჩევდნ მთელს“ და სხვა...

ჩვენ არსებითად არ შეგვებოთ „ერთი ჯგუფის მოსაზრებას“, გადაჭრით ვიტყვი მხოლოდ, რომ ეს «მოსაზრება» თფილისის სამღვდლოებისაგან არჩეულ «საიმედო» დელეგატებს არც შეუდგენია და არც იმის დატკვა უქონრიათ დელეგატთა კრებაზე. ისიც უნდა ვსთქვათ, რომ «ჯგუფის მოსაზრება» ჩვენ სამღვდლოებისათვის სავალდებულო რამეს არც წარმოადგენდა და არც წარმოადგენს. საქარისი იქნებოდა ასეთი განცხადება იმერეთის დელეგატთაგან, რომ „ჯგუფის მოსაზრება“ ჯგუფისავე უქუთსაბამო, მეტი რომ არა ვსთქვათ, მოსაზრებად მიჩნეულ იყო და სხვა არაფრად. ამ თვლით შეხედეს „ჯგუფის მოსაზრებას“ სხვა მხრის დელეგატებმაც, ასე რომ კრებას ის არც-კი განუხილავს...

დაუბრუნდეთ ოქტომბრის კრებას. როგორც ზემოთაც ვსთქვით, უკუოქის იქნებოდა დელეგატთა კრება თფილისში არ მომხდარიყო და ჩვენი ეპისკოპოსები ჩვენვე არ შეგვეზავნა ექსარხოთან. მაგრამ, ვინაიდან საქმე სხვაფერ დატრიალდა, ამ შემთხვევაში უფრო მეტი მხეობა გვმართებდა ყველას — იმერეთის დელეგატებსაც, — რომ კრებას რაიმე თვალსაზირო გაეროგებოთ. ამა რა გადასწყვიტა აქ სამღვდლოების კრებამ? — კითხულობს „ერთი დელეგატთაგანი“, — „სრულებით არაფერი“, — პასუხს იძლევა იგივე და განაგრძობს: „განხილეს ყველა მისულ დელეგატების რწმუნების ქალაქდებზე ვცონებთ არა. ვითომც რაღაც რეფორმა მოითხოვეს და მისი დამტკიცება და შემოღება ექსარხოის სთხოვეს... ამ უკანასკნელ დროს რაღაც გახშირდა ჩვენში სამღვდლოების კრებებზე გამოცხადება ისეთ პირებისა, რომელნიც არავის არ აურჩევია თვის დელეგატად და რწმუნებულად. საქირთა ყოველთვის რწმუნების ქალაქდების მოთხოვნა და, როცა წარმოადგენენ

ამისთანა ქალაქდებს, მაშინ უნდა გამოაცხადონ კრება სამღვდლოების რწმუნებულთა კრებად“.

ასეთ ფორმალურ მოთხოვილებასაც ანგარიში გაუწვია ოქტომბრის კრებამ, რწმუნების ქალაქდები მოთხოვნილ იქნა დელეგატებისაგან. ამ უკანასკნელთ განაცხადეს, რომ ჩვენ იგივე დელეგატები ვართ, რომელნიც იმთავითვე არჩეულნი ვყავით ჩვენ მარწმუნებელ სამღვდლოებისაგანა და მართლაც ეს აგრე იყო. ახალი დელეგატები იყენენ მხოლოდ სოხუმის ეპარქიიდგან, მთ შორის გამოგზავნილი იყო დელეგატი ეგრედ წოდებული „მორწმუნეთა“ მხრივც, მაგრამ, ვინაიდან სხვა ეპარქიების მხრივ ასეთი დელეგატები არ ყოფილა ამორჩეულ-გამოგზავნილი, არც იმ „მორწმუნეთა“ დელეგატს მიეცა საშუალება კრებას დასწრებოდა. რაც შეეხება ქალაქის სამღვდლოების „საიმედო“ დელეგატებს, ესენი ხომ იყენენ და იყენენ აღქუ-რვილინ ისეთ რწმუნების ბარათით, რომელიც ქეასაც კი ვაპზეთქდა.*)

უფრო საგულისხმიერო მიგვანჩია ჩვენ დასმული კითხვა-პასუხი — „აბა რა გადასწყვიტა აქ სამღვდლოების კრებამ?“ — „სრულებით არაფერი!“ შეიძლება ოქტომბრის კრებას რაიმე სხვა სარჩულიც ჰქონდა, რომელიც — თქმულებისამებრ — „არა არს დაფარულ, რომელი არა გამოცხადდესო“ — თან და თან ირკვევა, თან და თან მზებე გამოდის და ცული სუნიც უდის, მაგრამ კრებამ მიანიც სძლია დაბრკოლებას და, ვფიქრობთ, ცოტა რამ მიანიც გადასწყვიტა ისეთი, რომელიც ჩვენ საეკლესიო საკითხს პირ და პირ ეხებოდა. ავილოთ თუ გინდ პირველი პუნქტი დადგენილობისა: „ის პირნი, რომელნიც უნდა დაესწრნენ მომავალ სრულიად რუსეთის საეკლესიო კრების, აწინდელ

*) ამ დელეგატს მარტო ტფილისში მომხდარი კრება არა აქვს სახეში. ქუთაისის კრებაზე დაესწრო ერთი სამღვდლო პირი, ვითომც ვითომ დელეგატი, მაგრამ როცა რწმუნების ქალაქი მოსთხოვეს აღმოჩნდა, რომ იგი არავისგან არ იყო არჩეული. ტფილისის ოქტომბრის დელეგატების კრებაზე ამბობდნენ, რომ ყველა დელეგატები დაესწრო, იმერეთის ეპარქიიდან არც ერთი არ ყოფილა. სხანს, რომ დელეგატების რწმუნებულების ქალაქდები არ წაკითხულა. რაც სთქვეს პირადად იმას დაერწმუნენ...



საქართველოს ებარკიების წარმომადგენლების სახით, აღჭურვილ იქმნან მათთვის სავალდებულო მინდობილებებით დაქვრივებულ ივერიის ეკლესიისაგან“ (ჩვენ ვსთარგმნი). ამ პუნქტში ჩაქსოვილი ჩვენი ტაქტიკა რუსეთის მომავალ საეკლესიო კრებაზე საქმარისად ნათლად იყო ნაჩვენები „მეგობრის“ ფურსტობზე (№ 45) „მწყვდის შიდაც“ (№ 22), ამისათვის ვლავ ამაზე ჰქობა მეტია.—ღირს შესანიშნავია აგრეთვე მესამე პუნქტი დადგენილობის; ამ პუნქტის შინაარსიც განმარტებულ იყო აღნიშნულ ორგანოებში, მაგრამ საჭიროდ ვსთვლით აქ დაუმტაოთ შემდეგი: თუ დაუპირდაპირებთ ოქტომბრის დადგენილების მესამე პუნქტს „(მწყემსი № 19—20)“ ტფილისის სამღვდლოების ავგისტოს დადგენილობის მეოთხე პუნქტს („სიტყვა“ № 13—14) ნათლად დავინახავთ, რომ პირველი მეორეს დასტურს სდებს და მეორესაგან გამოთქმულს „პროტესტს“ („სიტყვა“ № 13—14, გვ. 4; პუნქტი 1.) უფრო ნაყოფიერ ნიადაგზე აყენებს, აძლევს რა მას ულტიმატუმის სახეს. აგრეთვე შინაარსისაწინაა მეთხუთე პუნქტები ოქტომბრის დადგენილობისა („მწყემსი“ № 19—20).

მაგრამ რა გამოვიდა?!—სრულებით არაფერი— „ერთ ღვთაებად ვიტყვი“ ჩვენც! რატომ?!— იმიტომ, რომ „სიტყვა“ სხვადა, საქმე სხვადა, შუა უძვეს დიდი ზღვარი! მართლაც და მთქმელს გამგონებენ უნდა, თქმულს ასრულება, ანუ რაიმე მისწრაფების ნასახი მაინც ასრულებს დასმი, როგორც კრების ღვთაებადების, ისე მათ ავდიტორიის მხრივ...

შეიძლება ოქტომბრის კრება მართლაც და ექსარხოოსიდან გამოეღოდა „რალაც რეფორმების დამტკიცება—შემოღებას“?—არა,—გადაჭრით ვიტყვი ჩვენ. კრება არც ისე უგუნური იყო, რომ მას არ სკოდნოდა, თუ რა ზასუს მისცემდა ექსარხოოსი „რალაც რეფორმების“ შესახებ. ეს იცოდა კრებამ და გარკვევითაც გამოსთქვა თავის აზრი უკანასკნელ სხდომაზე—15 ოქტომბერს—შაბათს. ასეთ ზასუსის მოლოდინში, კრება თითქოს რალაც აქტიურ მოქმედებისათვისაც მოემზადა, რალაც კენჭობიაც ითამაშა, ვითომ „რალაც“ შექქნა კიდევ „რეფორმების ცხოვრებაში დამოუკიდებლად გატარებისათვის... ამდენ ზარ-ზეიმის შემდეგ დადგენილება მაინც წარდგენილ იქმნა ექსარხოოსთან დიდის რიხით და რახა-რუხით, მაგრამ,—პოეტის თქმის არ იყოს „თუ საძირკველი შერყეულია,

მაშინ კედლების აშენებისთვის ყოველი შრომა დაკარგულია“. დიახ, შერყეულია ივერიის ეკლესიის საძირკველი! ასი წლის მონობის უღელმა შეარყია ჩვენ სამღვდლოების (რომელიც დარაჯია ეკლესიისა) არსებაში ადამიანურ ღირსებათა შეგნების ნიჭი, დასთარგუნა მასში ყოველივე ინიციატივა, დაუმორჩილა ის ქვენა გრძნობებს, ის ჯეკიდევ ვერ ამაღლებულა თვის პირად ინტერესებზე, რომ საზოგადო—საქვეყნო სასოშით შესებოს ცხოვრებისაგან წამოყენებულ თვითამორკვევის მოთხოვნილებას. მას ერთი წუთითაც ვერ წარმოუდგენია თავის არსებობა უაპეკუნოდ უმზრუნველოდ!

ამ მხრით სასოწარკვეთილებას იწვევს ქალაქის (სხვა ქალაქებისაც) სამღვდლოება, რომლის კუქს ჯერ არ შეჰხებია გამოამუხზილებელი ხალხის მუჯლუღენი და ისევ განცხრომაში ატარებს დროს, თითქოს აქ არაფერიაო!.. მაგრამ, ვერ წაუა ის „ხალხის რისხვას, როგორც ლეთისა“...

სუამედა.



რა ზანსხვავება და უპირატესობა აქვსთ სამელიტატორო და „ქანონით დადგენილ“ სამართალს?

სამელიტატორო სამართალი არის წმიდა და ზნეობრივი სასამართლო, რომლის საშუალებითაც სიმართლე და სიმტკუნე მომზივან—მოპასუხესი სახალხოდ გამოემღვანდება. სამელიტატორო სასამართლო ბევრად უმჯობესია „ქანონით დადგენილ სასამართლოზედ“—ერთი იმიით, რომ მოკამათე და მოდავე პირები თვით ირჩევენ სამელიტატორ მსაჯულებად ისეთ პირებს, რომელნიც საზოგადოებაში ცოტად, თუ ბევრად, თვალ-საჩინო ადგილი უჭირავსთ მათ ზატიოსნებას, პირუფენლობას, წინდახედულობას, მიუღვამლობას და მართლ-მსაჯულებას და მითი ორნივე მხარე—მომზივან-მოპასუხე კმაყოფილნი და უზრუნველყოფილნი არიან სიმართლის აღდგენაში.

მეორე, მითია კარგი სამელიტატორო სასამართლო, რომ მსაჯული უფლებმა შეზღუდული არ არის, რადგანაც მათ მტკიცე რწმენას, სინდის და უხიზელ გონებას უფრო მეტი ადგილი უკავია.



ენემ „ქანონით დადგენილ მსაჯულებს“. ამასთანავე, სამედიატორო სასამართლო იგივე სამართალი იმ საზოგადოებისა, რომელ საზოგადოებასაც ბრალდებული და ბრალმძღველი პირები ეკუთვნიან.

„ქანონით დადგენილი სამართალი“, სხვა და სხვა მიზეზებისა გამო, ხშირად შეუძლებლად და მოუხერხებლად სცნობს დანაშაულის და უდანაშაულო პირების მოქმედების გამორკვევას და მათი სიმართლე-სიმტყუნის ახსნას. სამედიატორო სამართალი კი თვალნახედვით ამჩნევს, ატყობს და არკვევს მოკამათე პირების დანაშაულს და სიმართლეს.

სამედიატორო სამართალი საზოგადოების თვალში არცხვენს და გააშავებს ცილის მწამებელთ და უსამართლოდ კაცის პიროვნების და თავ-მოყვარეობის შემბლაღველს და ჩირქის მომცემს და იმავე დროს იგივე საზოგადოება დამნაშავე-ცილის მწამებელ პირს აღიარებს, ამხილებს, დაჰშობს, შეიარცხვენს, ზილს გამოუცხადებს და შეაჩვენებს და მართალს—უდანაშაულოს კი პატივის ცემას და პიროვნებას აღუდგენს; „ქანონით დადგენილი სამართალი“ კი დამნაშავე პირს მხოლოდ სჯის ან ცხენში ჯდომით და ან დაჯარიმებით ისე, რომ ზოგიერთ შემთხვევაში დამნაშავე ისე გადაიხდის თავის სასჯელს, რომ საზოგადოება მის დასჯას ვერც კი გაიგებს. შემდეგ კიდევ რაკი ვერ გაიგებს საზოგადოება მის დასჯას, იგი მოტყუებული რჩება უმეტეს შემთხვევაში და ცუდი კაცი ისევე განიმეორებს თავის ცუდ საქციელს; ამნაირად, სამედიატორო სასამართლოს სასჯელი უფრო მკაცრია და უფრო სასტიკი და მძიმეა, ვიდრე „ქანონით დადგენილი სასამართლოსი“. პირველი სასჯელი ასწორებს და აუზოგადებს კაცს ზნეობრივად; სინანულში ჩაადგებს დამნაშავეს, ჩააფიქრებს; ჩაახედებს თვის გულში, სინდისს გაუღვიძებს და მითი თავის ცუდს საქციელს კვლავ აღარ განიმეორებს იმ მოსაზრებით მიხსნ, რომ ტყუილის მოქმედს მართალსაც აღარ დაუჯერებენ; მეორე სასჯელი კი, ესე იგი, „საკანონმდებლო სასამართლოს“ სასჯელი სჯის კაცს მხოლოდ ეკონომიურად, ფარულად და მონაშესებით და ასეთ შემთხვევაში კაცი კი არ სწორდება, პირიქით უფროც ფუჭდება და ზნეობრივად თან და თან ძირს ეცემა.

„ქანონით დადგენილი სამართალი“ ყოველთვის ხელმძღვანელობს ისეთი შედგენილი წიგნებით, სადაც საკანონმდებლო წესდება დაწერილებით და მრავალ შენიშვნებით არის აღწერილი, რომელ სახელმძღვანელოების ფარგალსაც ვერსაოდ ვერ გადასცილდებიან ამ სასამართლოს მსაჯულნი და სამედიატორო სამართალი კი ყოველთვის ხელმძღვანელობს თვისი საკუთარი აზრის და რწმენის, მიუდგომელ შეხედულებით, ფხიზელი გონებით და პირუთვნელობით.

სამედიატორო სასამართლოს წევრებს ირჩევენ თვით მეტოქე—მოკამათე პირები, ესე იგი, ბრალმძღველი და ბრალდებული ერთმანეთთან შეკითხვით და შეთანხმებით,—ამიტომაც არის, რომ სამედიატორო სასამართლოს განაჩენს ანუ დადგენილებას ირჩევენ მხარე ხმა ამოუღებლად უნდა დაეთანხმოს და დაემორჩილოს და აგრეთვე ასეთ დადგენილებას დიდის პატივის ცემით და ყურადღებით უნდა მოეპყრას და მიეგებოს თვით ის საზოგადოება, რომელ საზოგადოებასაც სამედიატორო სამართალი და მისი „კლიენტები“ მოშივან-მოპასუხე ეკუთვნიან— ასეთ სიმტკიცეს და შეურყვევლობას მოითხოვს სამედიატორო სასამართლო, როგორც ამომრჩეველთაგან, ისე საზოგადოების მხრითაც.

„ქანონით დადგინებულ“ განჩინებაზედ კი შეუძლიან მოშივან—მოპასუხეც არ დაეთანხმონ და თავის სიმართლის აღსადგენათ თავისი საქმე და საჩივარი უმაღლესს სამსჯავროში გადაიტანონ თავისი გულის საჯეროდ.

სამედიატორო სამართალი თავ-თავის დროზედ მკაფიოდ, მიუდგომლად და გათვალისწინებით იცავს როგორც ადამიანის პიროვნებას და პირად ღირსებას, ისე მის ქონებრივ ინტერესებს, სადაც ზნეობრივ ძალას უკავია ფართო ასპარეზი,— „საკანონმდებლო სასამართლოს“ კი სრულიადაც არ ეხერხება ასე თუ ისე საქმის დაბოლოება მსწრაფლად, ის სასამართლო გახვიდებითა და გაჭიანურებით არჩევს საქმეს, სადაც დროც მეტი ინარჯება და ეკონომიური ძალაც,—ამიტომ, როგორც ჩვენში, ისე სხვა გარეშე სახელმწიფოებშიდაც დღითი დღე იზრდება სამედიატორო სასამართლოს საქიროება და ამ სასამართლოს წესით ხშირად სწარმოებს საქმეების გარჩევა და დაბოლოება მომჩივან—მოპასუხეთა შორის. ვისაც კი

ფხიზელი გონება და პატიოსნება აქვს, ვისაც კი გუმანიური გრძობა აქვს და ვისი გულიც იმას ფიქრობს, რომ „სჯობს სიკოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“, არაოდეს არ უნდა დაერიდოს სამედიკატორო სასამართლოს, რომლის საშუალებითაც ძირიან—ფესოიანად უნდა აღგავოს კაცმან პირისაგან ქვეყანისა ის სამწუხარო და საზიზღარი გაიძვერაობა,—კაცის პიროვნების და ღირსების დამამდაბლებელი და შემბლაღავი ცილის წამება, შარიანობა, შურის ძიება, ბეზღობა, ჯაშუშობა და იუდა ისკარიოტელის გამცემლობა, რომელი საზიზღარი თვისებებეც; ჩვენა სასირტხოდ და სამწუხაროდ, ხშირ მოვლენად გადაიქცა არა მარტო სახორციელო საერო წოდებაში, არამედ სასულიერო წოდებაშიაც კი ამ უკანასკნელს დროში.

მ. ბ. ვაშაძე.



ორიოდე სიტყვა

„მწყემსის“ რედაქტორის მ. ლეკუ ღვათი დამბაშაისის მოწოდებისა გამო.

ღღეს რომ გაზეთი მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს ყოველი შეგნებული ადამიანისათვის, ეს არავისთვის საჭირო არ არის. „მწყემსი“ დიანაბა იმ დროს, როდესაც ცხოვრება ასე გართულებული არ იყო, როდესაც ჩვენი სამღვდლოების უმეტესობა შინაურად აღზრდილი იყო და ბევრ მათგანს არც კი გაეგებოდა, რა არის ჟურნალი, ან გაზეთი. მიუხედავად ამისა სამღვდლოება სიხარულით მიეგება მწყემსის გამოცემას და ხალისით კითხულობდა მას. „მწყემს“ მაც დიდი სასამახურო გაუწია უსწავლელ სამღვდლოებას: შეაჩვია კითხვას, განუშარტა ბევრი მისთვის საეჭვო კითხვა, გააცნო ბევრ სხვადასხვა ამბებს, მიაწოდა მას ჟურნალის საშუალებით და ცალკე წიგნაკებით მრავალი სასულიერო და სახორციელო შინაარსის სტატიები და დაუდგა დარაჯათ და დამკველიათ ამ სამღვდლოებას, როდესაც ვინმე უშარტლოდ იყრიშს მიიტანდა იმაზე. დამცირება „მწყემსის“ მნიშვნელობისა შეუძლიან მხოლოდ იმას, ვისაც სენათ გადაქცევა სხვისი მოღვაწეობის აბუჩად ავდება,

როდესაც თვითონ არც შეუძლიან და არც სცდილობს საზოგადო მოღვაწეობას.

უკანასკნელ ხანებში ჩვენი გამრავლდენ ნასწავლი მღვდლები. მოსალოდნელი იყო, რომ მწყემს მეტი მკითხველი გამოიჩნდებოდა და შინა-არსითაც შესაძინევედ გამოიკვლებოდა, რადგან ნასწავლი სამღვდლოება ზნეობრივად ვალდებული იყო „მწყემს“ ში შეეტანა რაიმე წვლილი თავისი გონების საღაროდან. მაგრამ ეს იმედი არ გამართლდა. ნასწავლი სამღვდლოების უმეტესობამ ზურგი შეაქცია „მწყემსს“. კითხვაზე—„მწყემსს“ იწერთ თუ არაო?—ნასწავლი მღვდლებისაგან მიიღებდით ასეთ პასუხს: „რათ გამოვიწეროთ, რა ყრია მწყემსში?“ ამის მთქმელზე უთუოდ იფიქრებდი, რომ ეს ვაუბატონი ალბათ სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების კითხვით იკვებებოა, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ. თურმე ის ისეთივე ხალისით კითხულობს სხვა ჟურნალ-გაზეთებსა და წიგნებსაც, როგორც „მწყემსს“! რომ ჩვენი ნასწავლი სამღვდლოების უმეტესობა ასე დაუდევნელი არ იყოს, მაშინ „მწყემსი“ ყოველნაირად გაუმჯობესდებოდა და მეტ სარგებლობას მოუტანდა როგორც სამღვდლოებას, ისე ხალხს. მაშინ ასცილდებოდა ჩვენ ნასწავლ მღვდლებს ის სარკაზმი, რომელიც ამ რამოდენიმე წლის წინეთ ერთმა ერისკაცმა დაწერა მწყემსში. ჩვენი ნასწავლი მღვდლები თავისი გონების საღაროდან მარტო ასეთ მარგალიტებს აწოდის მწყემსის რედაქტორას: „მ. რედაქტორო! ამა და ამ კაცმა ესა და ეს ნივთი შემოსწირა ჩემდამო რუმუნებულ ეკკლესიას და ამისთვის მე და ჩემი მრევლი მადლობას ვუძღვნით შემომწირველსო.“ თითქო ამაზედ მეტი საყურადღებო აღარაფერი ხდებოდეს ჩვენი სამღვდლოების ცხოვრებაშიო ათავებდა მწარე დაცინვით ერისკაცი. მაგრამ დადენებოთ თავი იმას, რაც იყო დღემდის. თუ აქამდის გულგრილიათ ვეკვდიდით ერთად-ერთ ქართულ სასულიერო გამოცემის საქმეს, ამის შემდეგ კი ხალ გგვაბატება ასეთი დაუდევნელობა. ღღეს ცხოვრება მეტად გართულებულია, ის მუდამ ათასნაირ საკითხებს აყენებს და ამიტომ ყოველი ცალკე ჯგუფი სცდილობს საკუთარი ორგანო იქონიოს. ამ დროს რომ სამღვდლოებას საკუთარი ორგანო არ ექმნეს, ეს მისს გონებრივისა და ზნეობრივ სიკვდილს მოასწავებს.

ამიტომ კითხვა „მწყემსის“ გამოცემის გავრცელების შესახებ, ჩემის აზრით, გადაწყვეტილად მიმაჩნია. შეიძლება ვინმემ შეგენიწნოს, რომ „მწყემსი“ ჯეროვნად ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას, ვერ აწვდის ხელის მომწერლებს შესაფერ გონების სახრად. ასეთი შენიშვნა შეიძლება არც სულ უსაფუძვლო იყოს; მაგრამ, რუსული ანდაზისა არ იყოს, მარტო ერთი კაცის ბრძოლის ველზე გასვლა შეუძლებელია. რითი იქნება „მწყემსის“ გამოცემა უნაკლულო, თუ იმის ბედიბალი მარტო რედაქტორზე იქმნება დამოკიდებული და ჩვენ კი შეერთებული ძალით არ მივაწვდით გონებრივსა და ნივთიერ დახმარებას?..

როგორც ვიცით სამღვდლოების კრებაზე, ქ. ქუთაისში, ყველა დებუტატებმა სთხოვეს რედაქტორს ჟურნალის გადაცემა სამღვდლოებაზე და კრებამ თითქმის ათიოდე ნასწავლი სამღვდლოება აირჩია, რომელთა შორის ავადმეის ჯვრებიანი, დიდი ნასწავლი სამი დეკანოზები იყვნენ. რედაქტორმა სრული თანხმობა გამოუცხადა სამღვდლოებას, რომლისთვისაც მაღლობაც გამოუცხადეს მას. არჩეულ სამღვდლოებას უნდა წაეყვანა საქმე „მწყემსის“ ჟურნალისა უკვე და სამღვდლოების სურვილისამებრ. მაგრამ რა ქნის ამ ნასწავლმა მამებმა? სრულდებიან არაფერი ყველანი მიმიადნენ!..

თფილისში გამოვიდა მღვდლის რედაქტორობით ერთი კვირეული ჟურნალი, მაგრამ მალე მოისპო საშუალობის უმეჭონებლობისა გამო, რადგან ხელის მომწერლები არა ყავდა! ქართული საერო ჟურნალებიც სრულიად მოისპენ. მხოლოდ მარტო „მწყემსი“-ს რედაქცია განაგრძობს თავის არსებობას. სხვა რომ არა ვსთქვათ-რა მარტო ეს არის დასაფასებელი. ამასთან რამდენი დაბრკოლება გლობება წინ ჩვენში არიან მუშაკს და აღნაბ „მწყემს“-საც ამისთანა დაბრკოლება ხშირად შეხვედრია, როგორც ამას დრო და დრო თვითონ რედაქცია განაცხადებდა ხოლმე: ამ ბოლო დროს რედაქციამ თავის „აღსარებაში“ ცხადად გამოაშკარავა თუ როგორ „თანაგრძნობას“ უწყვედნენ მას ზოგიერთი ბლაღოჩინები. ნუ თუ ამის შემდეგაც არ არის დასაფასებელი ერთი კაცისაგან ოცდა სამი წლის ასეთი მოძალადეი შრომა? დასაფასებელია, მაგრამ ჩვენში შრომა, სამწუხაროდ, არ ფასდება! საზოგადოება, რომელიც ღირსეულ კაცის

შრომას არ აფასებს მოკლებულია პროგრესიულ წინსვლელობას და საშიშარ შედეგს ვერ ასცილდება..

ჩემის მხრით ვგზავნი რა „მწყემს“-ზე ხელმოსაწერ ფულს რედაქციაში სრულ თანგრძნობას ვაცხადებ „მწყემსი“-ს ძობის წევრობაზე და ვსთხოვ რედაქციას თავის ორგანოში დაბეჭდოს ეს შენიშვნა, რადგან დღეს სხვა ჟურნალი სასულიერო, არ არსებობს და საერო გაზეთებიც სასულიერო წოდების შესახებ შენიშვნებს არ ბეჭდავენ. დარწმუნებული ვარ ჩვენს სამღვდლოებაში ჩემი თანამოაზრენი სხვანიც აღმოჩნდებიან..

მღვ. ს. ჭუმბურიძე.



წერილი რედაქციის მიმართ.

1906 წლის „მწყემს“-ის № 22 და ცალკე ფურცელზე წავიკითხე თქვენი მოწოდება „ძმობაში“ მონაწილეობის მიღების შესახებ. თუმცა ჩვენ ჯერ ეს ერთი ნომერი მივიღეთ და ისიც ძალიან გვიან თებ. 2, და იმიტომ არ ვიცით თქვენმა განზრახვლმა საქმემ რა მიმართულება და ხასიათი მიიღო, მაგრამ დაწყებული საქმე მაინც სასიამოვნოა. მხოლოდ როდესაც წაიკითხავთ მის წესდებებს, გრძობათ, რომ რალაც კიდევ აკლია, და თავის თავს ეკითხებით, რალად დააკლეს „მს რალაც“-აო.

ოღონდა, რომ საქირთა გაძლიერებული მოქმედება ჩვენთვის. დღეს კრიტიკული მომენტია ჩვენი ეკლესიისათვის. მან გამოიარა და გადის დღესაც. — ისეთი ამბავები, რომლების მსგავსი არც კი ახსოვს მას. თუ დავიჯერებთ ჩვენი ეკლესიური სიტოცხლის შავის ცემა შეგრებულთა... მწყემსთა და სამწყემსო შორის ძაფი გაჭრილია... ეკლესიური საქმეები აწეწილ-დაწეწილია, და ცხოვრების მიერ წამოყენებულ მრავალ მწვევ საკითხთა შორის სარწმუნოებრივი საკითხიც მკაფიოდ გამოიყურება. ყოველივე ეს მრისხანედ მოითხოვს ანგარიშს და მოუწესრიგებას, მაგრამ უტყუარ საფუძველზე კი. მე მგონია, სწორ ანგარიშს და ეკლესიური ცხოვრების უტყუარ ნიადაგზე დაყენებას შეუძლია გაჭრილი ძაფის გასკვნა. წინააღმდეგ შემთხვევაში ის მწარე ვაკვეთილები, რომლებიც დღეს ცხოვ-

რება მოგვცა, ყოველ მოხერხებულ დროს ვამეორდებოან. ამ დროს სამღვდლოების მხრივ სიჩუმე, უმოქმედობა, შეუგნებლობა, რასაკვირველია, მისი დაცემის მომასწავებელი იქნებოდა.

ვაშა იმ ინიციატორს, ვინც ასეთ დიდებულ მომენტში შესძლებს და შეაერთებს საქართველოს ეკლესიის ძალებს სამიტრატურო ასპარეზზე სამოღაწეოდ და ხალხში სამოქმედოდ, ვინც შესძლებს მიძინებულ სამღვდლოების სული ჩადმას — ჩაახებებს იფიზლოს იმანაც, თვალი ადენოს, ყური უგდოს აღღვებულ ცხოვრების ტალღების ხან ხმამაღალ გრიალსა და ხამ გულ ჩაბურულ მრისხანე გუგუხს. რა უნდა და რას ითხოვს.

ყოველივე ამის შემდეგ ფიქრდება გაცემს ამთ პასუხს „ძმობის“ ამ თავიდან დასახული წესდება და მისი ორგანო ხსენებული პროგრამით? თუ კიდევ შემუშავდება და შეიგნებ-ვაფართოვდება? თქვენს წერილში ერთ ადგილას ნათქვამია: „ამ უკანასკნელ დროს იმერეთის სამღვდლოების კრებაზე გამოითქვა ის აზრი, რომ ჩვენი ჟურნალის გამოცემა განგაგრძობთ ისე, როგორც აქნამდე იცემოდით...“ ჩვენ იმ კრებას არ დაესწრებივართ, როგორც სხვა ეპარქიაში მოსამსახურე, და არ ვიცით რით ხელმძღვანელობდა ამ დროს კრება. ჩვენის აზრით კი დღევანდელი ცხოვრების მოთხოვნილება ის არ არის, რაც ოცისა თუ ათის წლის წინეთ იყო; მომენტი ხომ სულ განსხვავებულია! ამიტომ მიუცილებელ საქიროებად ვსთვლით, რომ დღევანდელი ჟურნალის რედაქციამ უფრო ფართოდ გაუღოს კარები წერილებს, სხვა და სხვა საკითხებს, რომლებიც უნდა გამოიკვეთნა გაზეთულად და დაუფრავად. დღეს პირნათლად უნდა გამოიკვეთს ყოველივე ის, რამაც სიკვდილის პირს წააყენა ჩვენი ეკლესიური ცხოვრება, და რასაც შეუძლია მისი ასე თუ ისე გამოზრუნვა. მეორედ უნდა ვაფართოვდეს თანაშრომელთა წრე, შიგ უნდა მოჰყვნენ ისტორიის და მეცნიერების მკვლევ პირნიც, და თუ ამისათვის რაიმე დაბრკოლება არსებობდა აქნამამდე, დღეს უნდა მთისპოს როგორმე. ამასთან, თუ სამღვდლოების ორგანოდ ხდება ჟურნალი, მაშინ მისი პროგრამისა, მიმართულებისა და მანდატის შედგენა-შემუშავებაში მთელი წრე უნდა დებულობდეს მონაწილეობას. თუ არა, მაშინ რა უშლი. ხელს?

მეორე ადგილას ნათქვამია წერილებში: „უმათავრესი მიზანი ძმობისა იქმნება ქრისტიანობის და კეთილზნობის განმტკიცება, დაახლოვება მწყემსთა სამწყსოსთან, და მამაშვილური განწყობილების დამყარება მათ შორის სწავლითა და შეგონებით“. მიზანი ჩინებულია. ამას უნდა ეწეოდეს ყოველი ქეშპირიტი ქრისტიანე. მაგრამ რა გზით? რის სწავლებითა და შეგონებით? განა შეგვიძლია თავისუფლად მოქმედება ამ მხრივ? მეორედ, მე არ მჯერა, მამაო, სარწმუნოების საკითხის ასე გაშვავების მიზეზი მხოლოდ ის იყვის, რომ რელიგიურ, ზნეობრივ შინაარსის წიგნებს ვერ ვავრცელებდით. არც ის მჯერა, რომ ამ გვარ ეკლესიურ წესწყობილებაში მხოლოდ სარწმუნოებრივ-ზნეობრივი წიგნებისა და ჟურნალების გავრცელებამ ხალხში გამოაბრუნოს საქმე. დღეს გვესაქიროება თავისუფლება, ეკლესიური რეფორმები, რომლებიც უნდა შეგხნენ არა მარტო მარტო თვა გამეგობას, არამედ შინაგან მხარესაც. ყოველივე ამას ესაქიროება გამოიკვეთა, დამუშავება, და მომზადება მათთვის სამღვდლოებისა და ხალხისა. ადრე თუ გვიან ეს მიუცილებელია. ძმობის დღევანდელ მოვალეობას ამ მხრივ მუშაობა უნდა შეადგენდეს... ამის შემდეგ უფრო ნაყოფიერი იქნება რელიგიური წიგნაკების ხალხში გავრცელება*).

ბჟ. მღ. დიმიტრე ჩხაიძე.

რუსეთი და იაპონია.

რუსული გაზეთები კვლავ ალაპარაკდნენ რუსეთ-იაპონიის ურთიერთობაზე და შიში და ძრწოლა ისმის გაზეთების კილოში.

„საშიში ცნობები მოდის შორეულმოსავლეთიდანო, სწერს ერთი ლიბერალური გაზეთი. იაპონიამ ისეთი მოთხოვნები წარმოუდგინა რუსეთს, რომელსაც მეორე ხარისხიან სახელმწიფოსაც ვერ გაუბედავენ... მეტად სერიოზული მნიშვნელობა აქვს ხმებს... გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ იაპონიასთან ხუმრობა მეტად საშიში არის...“

წარსულმა ომმა დანახვა ქვეყანას, რომ იაპონიამ ყოველ ნაპიჯის მოზომევა იცის. მაგრამ

*) ყველა ამ გვარ წერილებს შემდეგ ერთად ვაცემთ პასუხს.



მწარე გამოცდილებამ ვერაფერი ვერ ასწავლა რუსეთის დიპლომატიას... რუსის პატრიოტები ამტკიცებდნენ, რომ პორტსმუტის ხელშეკრულება მაჩვენებელია იაპონიის შიშისა რუსეთის წინაშე. მაგრამ შოვინისტები სცდებიან. მაშინდელი დათმობა იაპონიის მხრივ იყო შედეგი არა შიშისა, არამედ კარგად მოსაზრებულ გეგმისა... ზავის ჩამოგდებისთანავე იაპონია მხურვალედ შეუღდა ჯარისა და ფლოტის გაძლიერების საქმეს... რუსეთი კი ამას ყურადღებას არ აქცევდა, რადგან სხვა სატყეობარი ჰქონდა...

პატარა ბოლოგრიამ არაფრად ჩაგვაგლო, შეუტრაცყოფა მოგვაყენა და ჩვენ ჩავყლაპეთ ეს შეუტრაცყოფა. ინგლისის პირველ მინისტრმა ოფიციალურად თანაგრძნობა გამოუცხადა დათხოვნილ რევოლუციონერ სათათბიროს, და რუსის მთავრობამ ხმა ვერ ამოიღო... ყველა საერთაშორისო საკითხებში რუსეთი ნულად გადაიქცა. არც ჯარი გვყავს, არც ფლოტი საზღვარ-გარეთისთვის; ზარბაზნები და ტყვიის მტყორცნელები სახლშიც ვგჭირია... სრულიად უძლური ვართ, რადგან ერთ ჯარის კაცსაც კი ვერ მოვაშორებთ ბინურ პოზიციებს, სადაც იგი საბოლოო სამსახურს ეწევა.

იაპონელები მიხვდნენ ამას და წარმოგვიდგინეს მოთხოვნები, როგორსაც მხოლოდ სრულიად დაუძლურებულ მოწინააღმდეგეს წარუდგენენ ხოლმე: თავისუფალი მიმოსვლა გემებისა მდინარე ამურზე, მიწების შეძენის უფლება ციმბირში, უბაჟოდ გადაზიდვა იაპონურ საქონლისა ბალტიის ზღვამდე და სხვა. ძველ რუსეთს, ბიუროკრატიულ რეჟიმის რუსეთს უმედავს იაპონია ამისთანა მოთხოვნების წარდგენას...

უფრო დამამიტირებელი მოთხოვნებიც რომ წარმოადგინოს იაპონიამ, რა პასუხის გაცემა შეუძლია რუსეთის მთავრობას? მიმართვა ვერაოპის სახელმწიფოსადმი ფუჭი ოცნება. ინგლისი იაპონიის მოკავშირეა, დანარჩენ სახელმწიფოთაგან ვერც ერთი ვერ გაბედავს წინ აღუდგეს იაპონიის მრისხანე ფლოტს.


სამწუხაროა, მაგრამ ერთად-ერთი გზა ჩვენ მთავრობისათვის დათმობა... ძვირად უჩვენება და ტანჯულსა და დაგლაზაკებულ რუსეთს „ძველის რეჟიმის სულთმობრძაობა“. („მეგობარი“)

ახალი ამბები და შენიშვნები.

* * უწყ. სინოდის ობერპროკურორმა გადასცა მინისტრთა სამკოს განსახილველად თავისი შემუშავებული აზრი სარწმუნოების თავისუფლების შესახებ. იგი ფიქრობს, რომ ცხოვრებაში უმკველად განხორციელებული უნდა იქნას უმაღლესად ბოძებული სარწმუნოების თავისუფლება, ხოლო მთავრობა მოვალეა ძირითად კანონების ძალით დაიცვას მხოლოდ მართლ მადიდებელი სარწმუნოება. შინაური წეს-წყობილებისა და გამგეობის მხრივ მართლ მადიდებელ სამღვდლოებს სრული თავისუფლება უნდა მიენიჭოს იმ პირობით, რომ საეკლესიო განკარგულებანი საზოგადო კანონების წინააღმდეგი არ იყოს. მთავრობა მოვალეა ყოველნაირად ხელი შეუწყოს მართლმადიდებელ სარწმუნოების განვითარებას, ახალ სამრევლო სკოლების გახსნას, სამღვდლოების მდგომარეობის გაუმჯობესებას და სხვა...

* * ლიდვალის საქმის გამოძიებამ აღმოაჩინა დამშუულ ნიეგეგროდის გუბერნიის გუბერნატორის ბარონ ფრედერიქსის სამარცხვინო მოღვაწეობა. ბარონს საიდუმლო კავშირი ჰქონია შეკრული დამშუულ ხადხის საკვებად მთავრობის შიერ მოწოდებულ გაიძვერა ლიდვალთან, რომლისთვის ნება მიუცია ნიენი-ნოგგოროდში კანონით აკრძალული კარტის სათამაშო სახლი გაეხსნა. ამ სახლს განავგებდა ლიდვალის მუელდე და მთელ შემოსავალს იჯიბავდა. რასაქვირველია. ვახ. „რჩ“-მა გამოაქვეყნა ეს ამბავი და აგრეთვე ის საიდუმლო გარემოება, რომ ლიდვალმა გაუზზავნა თავის თანაშაზრე და დამშუულთა მყელიყელ გუბერნატორის პარიზში ქრთამათ 25 ათასი მან. გუბერნატორი ყალყზე შედგა და ვაზეთი ცილის წამებისათვის სამართალში მიაცმინა. გამოძიებელს უკვე გაუჩნტკია იმ ხანკის ქაღალდები, რომლის საშუალებით ლიდვალმა საზღვარ გარედ გუბერნატორს ფული გაუზზავნა, და დარწმუნებულა, რომ ვაზეთ „რჩ“-ში მოყვანილი ამბავი ნამდვილი ყოფილა.

* * „ღელი-ტელიგრაფი“-ს ცნობით, ნიუიორკის ვაზეთები ძლიერ შიშობენ, ვაი თუ იაპონიასთან ომი მოგვიხდესო, თუმცა სამხედრო მინისტრი ამ გვარ შიშს უაზროდ სთვლის. პრესსა



საქართველოს
საბჭოთაო
საგარეო
აღმართობის
მინისტრის
სამდივოს
სამდივოს

ურჩევს მთავრობას, სკოლაში გაათანასწოროს იაპონელ ამერიკელ ბავშვების უფლებანი და ამით ომიანობა თავიდან აიცილოს.

* * იუსტიციის მინისტრსა მინისტრთა სამუქოში შეუტანია კანონ-პროექტი განქორწინების შესახებ. პროექტით განქორწინების ფაქტური მხარე სამოქალაქო სასამართლოს უნდა გადაეცეს.

* * მთავრობას განუზრახავს საგუბერნიო დაწესებულებათა რფეორმა შემდეგის სახით. გუბერნიის განაგებს გუბერნატორი, ჰყავს ორი თანამემწე, რომელთა შორის ერთს მინდობილი აქვს ადმინისტრაციული ნაწილი. არსდება აგრეთვე თანამდებობა საგუბერნიო პოლიციის უფროსისა, საგუბერნიო საბჭო და საგუბერნიო კანცელარია. გუბერნატორი თვალყურს ადევნებს, რათა მთავრობის გამოცემული კანონები და განკარგულებანი სისწორით ასრულდეს და საზოგადო მშეიდობიანობა დაცულ იქნას. იგი გუბერნიის მთელ პოლიციას განაგებს. ადმინისტრაციულ ნაწილში გუბერნატორის თანამემწე ამავე დროს გამგეობის ყველა ნაწილში ემხარება და საგუბერნიო კანცელარიას უფროსობს. გუბერნიის პოლიციის უფროსი გუბერნატორის თანამემწეა საპოლიციო ნაწილში და საგუბერნიო ჟანდარმთა გამგეობის უფროსად ითვლება.

* * ამჟამად პეტერბურგის პოლიცია ძლიერ აღშფოთებულია. ერთი სახლის განჩრეკის დროს აღმოუჩნია 45 ჩოხა იმ ფორმისა, რომელიც ხელმწიფის დამცველ მხედრებს—(კონვოის) აცვია. პოლიცია სასტიკო ბრძანება მიეცა, რათ დაუყოვნებლივ ყოველნაირი საშუალება იხმაროს მიაგნოს იმათ, რომლებმაც ეს ჩოხები შეაკეროეს, აგრეთვე ჩოხების შემკრავი თერქმები.

* * 22 იანვარს სინოდში სხდომა ჰქონდა სამღვდლო პირთა შემდეგარ კომისიის, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა საკითხი მღვდლის პეტროვის მონასტერში გაგზავნის შესახებ. კომისიაში სხვათა შორის მონაწილეობა მიიღო ათმა ეპისკოპოსმა, დღევანდელი საეკლესიო ქრისტიანობის მქადაგებელი გულმოდგინედ მსჯელობდნენ იმის შესახებ, თუ რა სასჯელი გადაეწყვიტათ ამ ქრისტიანმწერლისათვის. ბოლოს ამ საკითხს კენჭი უყარეს. მღვდლის პეტროვის სასარგებლოდ ერთი კენჭი მგერი აღმოჩნდა. მაშინ თავმჯდომარემ გამოაცხადა,

როგორც თავმჯდომარეს ორი კენჭი მეკუთვნისო. ამ ნაირად პეტროვის მოწინააღმდეგეთა და მომხრეთა კენჭების რიცხვი გასწორდა.

* * 20 იანვარს სტოლიპინს წარუდა მაჰმადიანთა დეპუტაცია, რომელსაც მინისტრების მეთაურიერთად მწყარალად დაუხვდა და ვაჰიცხა, მთავრობის მოწინააღმდეგე კადეტების პარტიის რევოლუციონერების მომხრეები ხართო, თქვენი პრესაც ხალხს აჯანყებს; ახლა რომ ხელში თხოვნა ვიქირავსთ, დარწმუნებული ვარ, პოლიტიკური შინაარსისაო, დეპუტატებმა წყნარად უპასუხეს; მხოლოდ იმას ვთხოვლობთ, ძალას ნუ დაგვატანენ ნუ გამოგაცეცლევინებენ არაბულ ანბანს, რომლითაც უკვე 700 წელიწადია ვსარგებლობთ და სლავიანურ ანბანს ნუ მიგვადებინებენო. სლავიანური ანბანი ყაზანის პროფესორს ილმინსკის გამოუგონია მაჰმადიანებისათვის. იგი პომბედროსსცვის დახლოვებული მეგობარია და რუსეთში მცხოვრებ უცხო ტომთა გარუსების მომხრეა.

* * სტოლიპინმა შემდეგი განკარგულება გაუგზავნა ოდესის გენერალ-გუბერნატორს: „პეტერბურგის სააგენტოს“ ცნობები მოსდის, რომ პარტიული ბრძოლის გამო ამ ბოლო დროს განხმრდა ოდესის ქუჩებში ხალხის ხოცვა-ჟლეტა. გვაოლებთ დაუყოვნებლივ საგანგებო ზომები მიიღოთ უწყსოების ჩასაქრობად და სამართალში მისცეთ ყველა დამნაშავენი, პარტიების განურჩევლად.

* * ტფ. თეადა-ნაურთა სადებუტატო საკრებულოში გუშინ, 6 იანვარს მოხდა კრება გუბერნიის ამომრჩევლებისა სახელმწიფო სათათბიროს სამის დებუტატის ასარჩევად. არჩეულ იქმნენ სოციალ-დემოკრატ: არჩილ ჯაფარიძე, სევერიან ჯუღელი და სოფელ ახალ-ქალაქის მცხოვრები ნიკოლოზ კაციაშვილი.

* * მაქსიმე კოვალევსკიმ სენატში საჩივარი შეიტანა იმის გამო, რომ იგი საარჩევნო სიიდან გამორიცხეს.

5 თებერვალს სენატმა განიხილა პროტესტი გრადონაჩალიკისა მღ. გრ. პეტროვისა საარჩევნო საიაში შეტანის და პროფ. მაკ. კოვალევსკის საჩივარი სიიდან გამორიცხვის შესახებ. დადგენა გრადონაჩალიკის პროტესტიც და კოვალევსკის საჩივარიც უწყურადლებოა იქმნას დატოვებული...



სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სასწამებებსა და კეთილზნებაზე.

პური ჩვენი არსობისა მოკვამ ჩვენი ღმრთ.

უფალმა იესო ქრისტემ, უწენა რა თვის მორწმუნეთა მოვალეობა ადამიანისა ღმრთის წინაშე, რომლის აღსრულებაც შეადგენს ადამიანის სულიერ მოთხოვნას, უყურადღებოდ არ დააგლო მისი ხორციელი საჭიროებაც. ქრისტიანეს ნება აქვს, რომ იზრუნოს ხორციელი ცხოვრებისთვისაც და ითხოვს მამა-ღმრთისაგან ღლიური პური არსობისა, ე. ი. ყოველი ის ნივთიერი, რაც საჭიროა ზომიერად ხორციელი ცხოვრებისთვის. — კეთილზნება და ზომიერად ხორციელი ცხოვრება შეადგენენ ადამიანის ბუნების სამკაულსა.

თვით იესო ქრისტე, შემოქმედი ცისა და ქვეყანისა, საუფჯარო კვიელთა კეთილთა, იგი, ზეციერი მოწამე ადამიანის უკვდავების არსებობისა, თვით იგი, მის მოციქულნიცა და მიმყოფნიცა ხორციელად იმყოფებოდნენ ზომიერ ცხოვრებაში, ხან უქონლობასაც ითმუნდნენ, როგორც ქადაგნი ქვეყნიერების ამოაგებისა და ზეციერი უკვდავებისა, რომლისადმიცა პირველად და უმეტესად უნდა ივლტოდეს ადამიანის სული, ქვეყნიერ სარბიელზე მომქმედი.

სამწუხაროდ, კაცობრიობის მომეტებულ ნაწილსა არა აქვს შეთვისებული ეს უმაღლესი ზეციერი ქმშარიტება. ამიტომ იგი არის მოცული ამოაგებისა და მიცდურობის სულითა: ელტვის იგი ხორციელ ფუფუნებასა და განცხრომასა, რისთვისაც სახსარს იძენს, უფრო ხშირად, არა შრომითა და ოფლითა, რომელნიცა ნამცნები არიან შემოქმედისაგან, არამედ იძენს სხვა და სხვა ბოროტების გზითა...


ქრისტიანობა არ ითხოვს იმას, რომ ქრის-

ტიანემ არ გააუმჯობესოს თვისი ხორციელი ცხოვრება. იგი მხოლოდ აზომიერებს ამ ცხოვრებასა იმ საზღვრამდინ, რომ ქრისტიანემ არ დაივიწყოს უზენაესი მიზანი ცხოვრებისა—სულის ცსონება. იგი მოვალეა, რომ სული ასაზრდოვოს ღოცვითა და საზოგადოდ კეთილმსახურებითა, ხოლო სხეული ნივთიერი საქმითა. სხეულის საქმელი არ არის სულის საზრდო, სხეულის მორთულობაც არ არის სულის სამოსელი.

ამ ქმშარიტებით უნდა ხელმძღვანელობდეს ქრისტიანე ქვეყნიერ ცხოვრებაში.

ქრისტიანე—ადამიანს შეერგება, ე. ი. მოუტანს სულიერსა და ხორციელ სარგებლობასა, მხოლოდ ის სახსარი ცხოვრებისა, რომელსაც შეიძენს იგი ბატიონსური შრომითა, ანუ სხვით, ღმრთის განგებულების გზითა. ამ გვარად მოაზრებულნი პური არსობისა, როგორც მოაზრებულნი თანხმად ღმრთის ნებისა, გემრიელი და სასარგებლოა: იგი ღმრთისაგან ნაკურთხია და ადამიანი ხმარობს მას სვინილისის სიმშვიდითა, რომლის სიტკობეობასაც ვერ შეედრება ვერავითარი ხორციელი გემოვნება.—ნათელი გონება, წმინდა გული, მორჩილი ნება, ფხიშელი სვინილისი დასადი ჯანი არიან უძვირფასესნი და საყვარლნი ნიქნი, ზეგარდამო ღმრთისა—მამისაგან გარდმომაველნი: მათ ზედ უნდა დააფუძნოს ადამიანმა თვისი შრომა და ცხოვრება.

ხოლო სახსარი ცხოვრებისა, მოაზრებულნი ავაზაკობითა, ქურდობითა, მტაცებლობითა, მოტყუებითა, ყალბობითა, დამალვითა და სხვა ბოროტების გზითა, რომელზედაც ღმრთისაგან მეტად თავხედნი გვამნი, არის მათთვის ცხელი ნღვერთალი, რომლისგანაც სამართლიანად აგვზნებთ ოღესმე მათ ცეცხლი საუკუნო ტანჯვისა იმ გოდებისთვის, იმ ცრემლისთვის, იმ მწუხარებისთვის, რომელთაცა გამოიწვევს მათი ბოროტმოქმედება. მწარეა მათი პური ცხოვრებისა, შმაშიანი და მკვლეელია მათთვის. თუ ეხლა ვერა გრძობენ ამ ქმშარიტებასა, როგორც გონებით დაბნელებულნი და სვინილის დახშულნი, იგრძნობენ შემდეგ, როდესაც სხეული მათი ურჯულოების სახსრით ჰოხილი და მოსილი, მიეცემა მამაღმრთის ხრწილების სამარგსა, ხოლო სული მათი, კეთილს მოკლებული, წარსდგება პასუხის საგებლად ღმრთის სამსჯავროს წინაშე.



ასე, ნიეთიერი პური არსობისა არის მარგებელიცა და მვენებელიცა.

ასეთივე სულიერი პურიცა. მსჯელობა, მოზარობა, მათი გამობატვა სიტყვითა ანუ კალითა, არის სულიერი საზრდა. საუბარი ანუ თხზულება, რომელთაც შინაარსი ხრწნის ადამიანის სულსა ურწმუნობითა და სხვითა ბიწიერებითა, შეადგენენ სულისთვის დაშხამულ, მვენებელ არსობის პურსა. ხოლო საუბარი და თხზულება, რომელთაც შინაარსი იცავს სარწმუნოებასა და კეთილზნობასა, შეადგენენ სულისთვის სასარგებლო არსობის პურსა, რადგანაც იგი აცხოველებს სულსა ქეშმარიტებითა. ვინც საუბრით ანუ თხზულებით სცდილობს, რომ მოაშოროს ადამიანი სარწმუნოებასა და კეთილზნობასა და დააყენოს იგი ურწმუნობისა და ბიწიერების გზაზე, იგი არის სულიერი ავაზაკი, მტაცებელი იმ უძვირვასესი საუნჯესი, რომელიც ზეგარდამო არს მონიკებული ქრისტე — მაცხოვრის სისხლითა, როგორც პური არსობისა, ფრიად საჭირო საწყალი ადამიანის სულისთვის. — სიფხიზლე, დიდი სიფხიზლე მართებს ადამიანსა როგორც ხორციელ, ისე სულიერი ცხოვრებაში: მას ჰყავს, გარდა ეშხაკისა, ადამიანთაგანაც მრავალნი მტერნი, რომელნიცა აზარალებენ მას ხორციელადაც და სულიერადაც.

თანამედროვე ქრისტიანობა მეტად დაშორებულია თვის მიზანსა და მოვალეობასა. მისი ცხოვრება მეტად განვითარებულია: სხეული განსცხრება, ხოლო სული იზარება, სხეული მაძლარია, სული მშვიერია. ამის მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ უმეტესი ნაწილი ქრისტიანთა მოკლებულია ქრისტიანობის შინაარსის ცნობასა. ხოლო ვისაც ესმის ამ შინაარსის ცოტაოდენი, ისიც გულგრილობს, არ სცდილობს, რომ შეიტანოს ქრისტეს ნათელი თვის ცხოვრებაში. აწინდელი სწავლა — აღზრდის წარმოებაც ისე მიდრეკილია გარგანი, ნიეთიერი მხრისკენ, რომ ფრიად ნაკლები ნათელი სარწმუნოებისა და კეთილზნობისა შეაქვს მოსწავლეთ სულიერ ბუნებაში... ეს ბუნება მშვიერია და იქმნება ამისთანა, ვიდრემის ადამიანი უმაღლესად არ შეიგნებს ზნეობრივ თვითაღზრდაში

საქიროებასა, რომლითაც მოიპოვება ნამდვილი სასარგებლო პური არსობისა.

იგოა ქრისტემ შემდეგი გზით დაასურათა ვნება ამოვებისა: „ერთმა კაცმა მოაზნადა დიდი ვაზში და მოიწვია მრავალნი, როდესაც მოვიდა ვაზშიის დრო, გაგზავნა თვისი მონა მოწვეულთ სათხრობლად:“ მოდი,თ რაღვანაც ყველაფერი მზათ არის. — ყოველთა, თითქო პირობის შეწყვერლთა, დაიწყეს ბოდიშის ხდა. პირველმა უთხრა მას: „მე ვიყიდე მიწა, და ჩემთვის საჭიროა, რომ დაგხედო მას: გთხოვ, შემიწლო მე“ მეორემ უთხრა: „მე ვიყიდე ხუთი ულერი ხარი და მიველივარ მათ გამოსაქნელად: გთხოვ, შემიწლო მე“. მესამემ უთხრა: „ცოლი შევირთე და ამიტომ არ შემიძლიან მოსვლა“. მაშინ გარისხდა რა სახლის უფროსი, უთხრა თვის მონასა: „წადი ჩქარა ქალაქის ქუჩებში და მოიყვანე აქ გლახაკნი, დაშხამებულნი, კოკლნი და ბრმანი“. უთხრა მონამ: „უფალო, ავასრულე, როგორც მიბრძანე შენ, და კიდევ არის არის აღგილი“. უფალმა უთხრა მონას: „წადი გზებზე, ბაკებში დე დაიყოლიე, რომ მოვიდნენ, რათა აღივსოს ჩვეი სახლი. — გულებნით თქვენ, რომ ვერცეინ იმ მოწვეულთაგანი ვერ იგემებს ჩემს ვაზშაშსა, ვინაიდან მრავალნი არიან მოწვეულნი, ხოლო მცირე რჩეულნი“.

პაზრი ამ იგავისა, სხვათა შორის, ასეთია: ყოველი ქრისტიანიც მაცხოვრის მიერ მოწოდებულია, რომ სარწმუნოებითა და კეთილზნობითა დამიკვიდროს სასუფეველი ღვთისა, რომელსაც მაცხოვარი უწოდებს თვის დიდ ვაზშად. ამ ვაზშისა, ამ სასუფეველის დირსი შეიქმნება მხოლოდ ის ქრისტიანი, რომელიც ელტვის არა ქვეყნიერ ამოვებასა, არამედ ზეციერ უკვადვებასა ქრისტიანული მოვალეობის აღსრულებითა, რომელსაც შეგნებული აქვს, რომ, უკეთუ ხორციელობას უნდა მიწა, ხარი და ცოლი, სულს უნდა ზეცა, უნდა სულიერი ზვარაკის — ქრისტეს სისხლი და ხორცი, უნდა ქრისტე — სიძე, ცხოველსმყოფელი, ტკბილი და საყვარელი, საფლავიდგან, ვითარცა სასძლოსგან, აღდგომით აღმობრწყინებული...

ი. ბაღუევი.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. ღ. ღამაშიძე, 15 თებერვალი, 1907 წ.

სტამბა ჟურნალის „მწყემსი“-ს რედაქციის (დეკ. დ. ღამაშიძის) ყვირილა საკუთარ სახლში.